

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1683 (2009) საქართველოსა და რუსეთს შორის  
ომი: ერთი წლის შემდეგ**

1. ორ წევრ სახელმწიფოს, საქართველოსა და რუსეთს შორის ტრაგიკული ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, საპარლამენტო ასამბლეა კვლავ ადასტურებს მის რეზოლუციებს 1633 (2008) და 1647 (2009), მიღებულს შესაბამისად 2008 წლის 2 ოქტომბერსა და 2009 წლის 28 იანვარს. ის მიიჩნევს, რომ ორივე სახელმწიფოსადმი, ისევე როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებისადმი ჩამოყალიბებული მოწოდებები კვლავაც წარმოადგენს ამ ომის შედეგების აღმოფხვრისათვის ვარგის გამჭვირვალე, მიუკერძოებელ და რეალისტურ გზამკვლევს, არა მხოლოდ ორივე ჩაბმული მხარისათვის, არამედ თვით ასამბლეისთვისაც. ასამბლეა კვლავ ადასტურებს, რომ ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ისევე როგორც მისი საზღვრების ურღვევობას.

2. რაც შეეხება ევროკავშირის მიერ შექმნილ დამოუკიდებელ საერთაშორისო გამოძიებას კონფლიქტის დაწყებისა და მისი მიმდინარეობის გარშემო, ასამბლეა აღნიშნავს, რომ ფაქტების მომკვლევით მისი მანდატი განგრძობილ იქნა 2009 წლის 30 სექტემბრამდე ევროპული საბჭოს მიერ. ასამბლეა, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მიესალმება მისიასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მხრიდან და გადაწყვეტს, დაუბრუნდეს ომის დაწყების მიზეზებისა და ზუსტი გარემოებების საკითხის განხილვას მას შემდეგ, რაც ფაქტების მომკვლევით საერთაშორისო მისია გამოაქვეყნებს თავის ანგარიშს.

3. ასამბლეა გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ მუდმივად არსებული დაძაბულობისა და პროვოკაციების გამო, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მხოლოდ მთელი რეგიონის დესტაბილიზება. ის მიიჩნევს, რომ ერთადერთ გარანტს იმისა, რომ ამგვარი დაძაბულობა არ გამოიწვევს შეტაკებების განახლებასა და საომარ მოქმედებებში გადაზრდას, წარმოადგენს საერთაშორისო მონიტორების დაუყოვნებელი, შეუზღუდავი დაშვება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს, ისევე როგორც ახალი, მიუკერძოებელი საერთაშორისო სამშვიდობო ძალის განთავსება რეგიონში. ამასთან დაკავშირებით, ასამბლეა:

3.1 გმობს რუსეთისა და დე ფაქტო ხელისუფლებების მუდმივ წინააღმდეგობას, დაუშვან ევროკავშირის მონიტორები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და მოუწოდებს მათ, დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაუშვან მონიტორები მათ დე ფაქტო კონტროლქვეშ არსებულ ტეროტორიებზე;

3.2 გმობს საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) დახურვას, რაც შედეგად მოჰყვა გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის მიერ ვეტოს უფლების გამოყენებას;

3.3 გამოთქვამს ღრმა წუხილს იმის გამო, რომ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (OSCE) საბერძნეთის თავმჯდომარეობის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, ეუთოს, მათ შორის მისი სამხედრო სამონიტორინგო კომპონენტის მუდმივ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, არ მოჰყვა შეთანხმება და მოუწოდებს რუსეთს, გადახედოს მის საწინააღმდეგო პოზიციას ამასთან დაკავშირებით.

4. ასამბლეა აღნიშნავს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების გარშემო ჟენევის მოლაპარაკებათა ფარგლებში მოქმედი 1-ლი სამუშაო ჯგუფის მოკრძალებულ წინსვლას. ის განსაკუთრებულად მიესალმება ჩაბმულ მხარეთა შორის შემდგარ რეგულარულ შეხვედრებს ინციდენტების პრევენციის მექანიზმების ფარგლებში, მაგრამ გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ მსგავსი წინსვლა ვერ იქნა მიღწეული მე-2 სამუშაო ჯგუფში, რომელიც შეეხება ჰუმანიტარულ და გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. ასამბლეა გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას იმის გამო, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების შემდგომი დახურვა, რაც შედეგად მოჰყვა ადმინისტრაციულ საზღვრებზე კონტროლის გადაცემას რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურისადმი, გამოიწვევს ეთნიკურ ქართველთა შემდგომ გადაადგილებას გალის რაიონიდან, აფხაზეთი და ახალგორის რაიონიდან, სამხრეთ ოსეთი. ასამბლეა განსაკუთრებით შეშფოთებულია ამ ადამიანებზე განხორციელებული მხარდი ზეწოლის გამო, რათა მათ მიიღონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პასპორტები და ასევე ამ რეგიონებში საერთაშორისო დასწრების ამჟამინდელი სრული არარსებობის

გამო.ამდენად, ასამბლეა მოუწოდებს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებებს, აღკვეთონ ნებისმიერი სახის შეფერხება ადმინისტრაციული საზღვრების გაყოლებაზე საქართველოს მოქალაქეთა გადაადგილების თავისუფლებაზე.

6.ასამბლეაკვლავაც ღრმად არის შეშფოთებული ამ ომის ჰუმანიტარული შედეგების გამო და შესაბამისად:

6.1 ადასტურებს მის რეზოლუციებში 1648 (2009) და 1664 (2009) დაფიქსირებულ პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით;

6.2 მოუწოდებს საქართველოს, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებს, სრულად და ეფექტიანად განახორციელონ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების გადაუდებელი დაცვის მიზნით შემუშავებული 6 პრინციპი და განსაკუთრებით რუსეთსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს, სრულად და უპირობოდ უზრუნველყონ 2008 წლის აგვისტოს საომარ მოქმედებათა შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება და სრულად დაიცვან მათი საკუთრების უფლებები;

6.3 მოუწოდებს კონფლიქტის შესაბამის მხარეებს, თავი შეიკავონ იმგვარი ნაბიჯებისგან, რასაც შეიძლება დამატებით მოჰყვეს ადამიანების იძულებითი გადაადგილება, მათ შორის მათი უსაფრთხოების დაყენება საფრთხის ქვეშ, იძულებითი პასპორტიზება, მშობლიური ენის სწავლების პროცესში ჩარევა, სამხედრო სამსახურში გაწვევა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა.

6.4 მოუწოდებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებისკენ ჟენევის მოლაპარაკებებისას, განსაკუთრებით მე-2 სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელიც შეეხება ჰუმანიტარულ საკითხებსა და გადაადგილების თავისუფლებას.

7.ასამბლეაგამოთქვამს ღრმა წუხილს იმის გამო, რომ რუსეთი და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონები განაგრძობენ გადაჭარბებული შეზღუდვების დაწესებას საერთაშორისო და ჰუმანიტარული ორგანიზაციების, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების დაშვების მიმართ სეპარატისტულ რეგიონებში და რომ საქართველოც, ასევე, აწესებს შეზღუდვებს დაშვებაზე.გარდაამისა, რუსეთი და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები განაგრძობენ გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესებას ადგილობრივი მოსახლეობისადმი, რომელსაც სურს ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს გადაადგილება.ამასთანდაკავშირებით, ის:

7.1 კვლავაც რჩება ღრმად შეშფოთებული "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის" ჰუმანიტარული შედეგებისა და მისი გამოყენების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ის მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას, მოახდინოს რეაგირება დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია) ამასწინანდელ მოსაზრებაში გამოთქმულ შენიშვნებზე ამ კანონთან დაკავშირებით და მხედველობაში იღებს საქართველოს პარლამენტში წამოწყებულ შესწორებებს, რომლებიც მოსაზრებისათვის გადაეცა ვენეციის კომისიას ;

7.2 მხედველობაში იღებს რუსეთის ძალისხმევას, გაუწიოს ჰუმანიტარული დახმარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და მოუწოდებს რუსეთსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ ხელისუფლებებს, დაუყოვნებლივ გააუქმონ ორივე რეგიონში დაშვებაზე არსებული ყველა შეზღუდვა, მათ შორის საერთაშორისო და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და ჰუმანიტარული დახმარების მიმართ;

7.3 მოუწოდებს ყველა მხარეს, უზრუნველყონ ბუნებრივი აირის, წყლისა და სხვა უმთავრესი ჰუმანიტარული მარაგის უწყვეტი მიწოდება ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეს, განსაკუთრებით მომავალი ზამთრის თვეების განმავლობაში.

8. ასამბლეისთვის მიუღებელია როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მხრიდან გამოვლენილი პასიურობა ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის სავარაუდო დარღვევების სარწმუნოდ გამოძიების თვალსაზრისით, რომლებიც ჩადენილ იქნა როგორც ომის მიმდინარეობისას, ასევე მის შემდგომ მათი შეიარაღებული ძალების, მილიციისა თუ სამოქალაქო პირთა მიერ მათ დე

ფაქტო კონტროლსა და იურისდიქციის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე. ის აღნიშნავს, რომ ევროკავშირის გამოძიება მოიცავს ასევე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს, ისევე როგორც შესაძლო სამხედრო დანაშაულებს, ჩადენილს ნებისმიერი მხარის მიერ ომის მიმდინარეობისას. ის, შესაბამისად :

8.1. გადაწყვეტს, დაუბრუნდეს აღნიშნულ საკითხს, მათ შორის ორივე წევრი სახელმწიფოსათვის შესაძლო შედეგების შესახებ, ევროკავშირის საგამოძიებო მისიის დასკვნების ფონზე ;

8.2. მოუწოდებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს, სასამართლოს წინასწარი გამოძიების პალატას დაავალოს ფორმალური გამოძიების დაწყება სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ სავარაუდო დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილ იქნა ნებისმიერი მხარის მიერ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდგომ.

9. ასამბლეა გმობს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებათა ქმედებას, რომელთაც გადაჭრით არ შეაჩერეს და სერიოზულად არ გამოიძიეს ეთნიკურ ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტები, რასაც ყველა ვარაუდით ჰქონდა ადგილი სამხრეთ ოსეთში ომის დროს და მის შემდგომ და იმის გამო, რომ ბრალდებულები არ წარადგინეს მართლმსაჯულების წინაშე. ის შეახსენებს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, რუსეთი პასუხისმგებელია ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტებზე მის დე ფაქტო კონტროლქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე.

10. ასამბლეა გმობს იმ ფაქტს, რომ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებებიდან ერთი წლის შემდეგ, მხოლოდ მცირედ ხელშესახები წინსვლა იქნა მიღწეული ამ ომის შედეგების აღმოფხვრის თვალსაზრისით და რომ ზოგიერთ სფეროში მდგომარეობა გაუარესდა კიდევ. მაშინ, როცა საქართველომ შეასრულა ასამბლეის თითქმის ყველა მოთხოვნა, ჩამოყალიბებული 1633 (2008) და 1647 (2009) რეზოლუციებში, რუსეთს არ შეუსრულებია ამ რეზოლუციებით დაკისრებულ ძირითად მოთხოვნათა უმრავლესობა.

11. ასამბლეასრულად იმყოფება საქმის კურსში რუსეთის არგუმენტაციასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ ასამბლეის მოთხოვნათა შეუსრულებლობას თითქოს განაპირობებს მისი განსხვავებული პოზიცია ამ რეგიონების სტატუსის მიმართ. ასამბლეა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მის მოთხოვნათა უმრავლესობა არ არის არავითარ კავშირში ამ ორი რეგიონის სტატუსთან და შესაბამისად, არ შეუძლია გაიგოს, თუ რატომ არ შესრულდა რუსეთის მხრიდან თუნდაც ეს მოთხოვნები. შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა დასტურია მისი მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობისა, აღმოფხვრას ომის შედეგები ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო ფორმით. გარდაამისა, ასამბლეა გამოთქვამს ღრმა წუხილს იმის გამო, რომ როგორც სახელმწიფო დუმის, ისე ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელობამ, ისევე როგორც ასამბლეაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოთქვეს საწინააღმდეგო პოზიცია ასამბლეის მოთხოვნებისადმი და უარყვეს რუსეთის მხრიდან მათი შესრულების შესაძლებლობა.

12. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მიერ ასამბლეის რეზოლუციებში 1633 (2008) და 1647 (2009) ჩამოყალიბებული ყველა მოთხოვნის სრული განხორციელების საჭიროებისა და მნიშვნელობის ხაზგასმასთან ერთად, ასამბლეა განსაკუთრებულად მოითხოვს ევროკავშირის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების სრულ განხორციელებას, განსაკუთრებით კი შეიარაღებული ძალების ომის წინანდელ პოზიციებამდე უკან დახვევის და ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატისა და პოლიციური ძალების შექმნის შესახებ. ის მტკიცედ მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, მიმდინარე წლის ბოლომდე:

12.1 შეუზღუდავად დაუშვას ევროკავშირის მონიტორები როგორც სამხრეთ ოსეთის, ისე აფხაზეთის ტერიტორიაზე, თანახმად 1633 (2008) რეზოლუციის 22.2 –ე მუხლისა და 1647 (2009) რეზოლუციის მე-9.8 მუხლისა;

12.2 მისცეს საქართველოს მოქალაქეებს გადაადგილების თავისუფლება ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს და მოუხსნას შეზღუდვები საერთაშორისო და ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და ჰუმანიტარულ დახმარებას, მათ შორის ამ რეგიონებში შესვლასთან დაკავშირებით;

12.3 ფორმალურად და ეფექტიანად აღიაროს ყველა, მათ შორის 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოდ და ღირსეულ პირობებში დაბრუნების უფლება თავიანთ პირველად საცხოვრისში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, თანახმად 1647 (2009) რეზოლუციის მე-9.9 და მე-9.11 მუხლებისა;

12.4 წამოიწყოს სარწმუნო გამოძიება ეთნიკური წმენდის სავარაუდო ფაქტების გარშემო, რომლებიც ჩადენილ იქნა მასთან კავშირში მყოფი სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების ან ამ უკანასკნელის ფაქტობრივ იურისდიქციაში თუ კონტროლქვეშ მყოფი სამოქალაქო პირების მიერ და მიიღოს ზომები, რათა აღადგინოს, ან თუკი ეს შეუძლებელია, გამოასწოროს ამ ქმედებებით მიყენებული ზიანი;

12.5 მოსაზრებისათვის გადასცეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის შესახებ კანონში შესწორებათა შესახებ კანონი ევროპულ კომისიას დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) და სრულად გაითვალისწინოს კომისიის ნებისმიერი რეკომენდაცია.

13. ასამბლეა მოუწოდებს მის სამონიტორინგო კომიტეტს, მეთვალყურეობა გაუწიოს ასამბლეის მოთხოვნათა განხორციელებას საქართველოსა და რუსეთის მიერ და სიტუაციიდან გამომდინარე შესთავაზოს მას შემდგომი მოქმედება, მათ შორის, რაც შეეხება ამ რეზოლუციის მე-12 მუხლთან შესაბამისობას.

**2009 წლის 29 სექტემბერი.**

<http://portal.coe.ge/downloads/Resolutions/Res1683Geo.pdf>